9(47.922)
ჩ-967

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარიამ სანდროს ასული ჩხარტიშვილი

# ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი
## (IV-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები)

07.00.02-საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი, 1997

ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მარიამ სანდროს ასული ჩხარტიშვილი

# ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზი

## (IV-VII სს ისტორიის ამსახველი ძეგლები)

07.00.02-საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია

ავტორეფერატი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის
სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად

ი. ჯავახიშვილის სახ. თბილისის დასავლეთ
ენათა და კულტურათა სასწავლო ინსტიტუტის
ბიბლიოთეკას    მ. ჩხარტიშვილი
24.I.97

თბილისი, 1997

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში

სამეცნიერო კონსულტანტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი გიული ალასანია

ექსპერტი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვალერი სილოგავა

ოფიციალური ოპონენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი კარლო კუცია
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ნანა ხაზარაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი ვიქტორ ხოშტარია-ბროსე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი რევაზ სირაძე

წამყვანი ორგანიზაცია: სულხან-საბა ორბელიანის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი

დისერტაციის დაცვა შედგება ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის დარგის სპეციალიზებულ H 07 01 C № I სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (380028, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, I), 048 206 „ 24 “ ---II--- 1997 წ., „ 14 “ საათზე

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია ი.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში

ავტორეფერატი დაიგზავნა „ 18 “ ---I--- 1997 წ.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი
ნათელა ვაჩნაძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი

Библиотека
Тбилисского гос. педагогического института
иностранных языков
им. И. Чавчавадзе



## დისერტაციის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ჰაგიოგრაფია ქრისტიანული საეკლესიო მწერლობის პოპულარული ჟანრია. მისი ერთ-ერთი უმთავრესი საზოგადოებრივი ფუნქცია აღმზრდელობითია; ამასთან ჰაგიოგრაფია არაა განყენებული დიდაქტიკა, იგი ყოველთვის კონკრეტულ ფაქტებს წარმოაჩენს. ჰაგიოგრაფია მოძღვრებს წმინდანის ცხოვრების მაგალითით, ჰაგიოგრაფია მწერლობაა სანიმუშო ცხოვრებაზე; მაგრამ შუა საუკუნეებში როდესაც არსებითად ყალიბდება აღნიშნული ჟანრი, მაგალითის ძალა შეიძინა მარტოოდენ ისტორიულად ნამდვილ („უტყუარ“) ამბავს. ამიტომ ჰაგიოგრაფიულ მონათხრობს სივრცითთან ერთად, ჩვეულებრივ, აქვს დროითი კოორდინატიც: ჰაგიოგრაფიული ქრონოტოპი განსაზღვრულია.

ლიტერატურული ჟანრი, რომლის არსებაში ისტორიოგრაფიული პრინციპი ძევს, ბუნებრივია, იპყრობს ისტორიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას. ამიტომაა, რომ წყაროთმცოდნეობითი ასპექტით ჰაგიოგრაფიის კვლევას დიდი ტრადიცია აქვს ბიზანტინისტიკაში, არმენოლოგიაში, სლავისტიკაში და ა.შ. გამონაკლისი არაა, ამ მხრივ, ქართველოლოგიაც. საქართველოს ისტორიის ტრადიციული პრობლემებისათვის წყაროთა ბაზის გაფართოების მიზნის გარდა ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი ანალიზისაკენ თანამედროვე მკვლევარს უბიძგებს ისტორიულ მეცნიერებაში გამოკვეთილი ახალი ტენდენციაც: დღის წესრიგში დგას ანთროპოლოგიურად ორიენტირებული ისტორიოგრაფიის შექმნა. ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს ასეთი განზომილების მქონე მედიევალური ისტორიის რეკონსტრუქციისათვის კი სწორედ ჰაგიოგრაფია წარმოადგენს.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა და კვლევის მიზნები. ქართული ჰაგიოგრაფიის მეცნიერული შესწავლა გასულ საუკუნეში დაიწყო და გრძელდება დღემდე. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დროს რელიგიური შინაარსის ლიტერატურის ნიმუშების კვლევა წარმოებდა იდეოლოგიური შეზღუდვების პირობებში, შედეგები შთამბეჭდავია: ესაა კრიტიკული ტექსტების მაღალპროფესიული პუბლიკაციები, უცხო ენებზე დიდი ოსტატობით შესრულებული მეცნიერულ-მხატვრული თარგმანები, მრავალრიცხოვანი სპეციალური გამოკვლევები. მიუხედავად ამისა, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობით შესწავლას თავისი აქტუალობა არ დაუკარგავს. საქმე ისაა, რომ დროთა ვითარებაში მრავალი დასკვნა გადასასინჯი შეიქმნა, ბევრი შედეგი არ განზოგადებულა, სისტემურად არ გააზრებულა. ამასთან უკანასკნელ